



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 იანვარი 2024



N 55/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 2 ივლისს გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1011). 2023 წლის 16 ივნისს აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №274/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორია მდებარეობს ქ. საგარეჯოს მიმდებარედ და მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 55.12.62.001.605 საკადასტრო ერთეულს (50 729 მ²) და 55.12.62.001.601 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილს, რომელიც წარმოადგენს საპროექტო საავტომობილო გზის ბუფერს. სამშენებლო ბანაკის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 1,3 კმ-ით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. თვალთხევი მიედინება სამშენებლო ბანაკის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 350 მეტრში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე 2 ერთეული, ჯამურად 45 მ³ დიზელის მიწისზედა რეზერვუარის ნაცვლად, განთავსდა 3 ერთეული ჯამურად 90 მ³ დიზელის მიწისზედა რეზერვუარი (GPS კოორდინატები: X-527631; Y-4617267). აღნიშნულიდან გამომდინარე,

ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია ასფალტის საწარმოს მოწყობა (GPS კოორდინატები: X-527733 Y-4617306; X-527730 Y-4617278; X-527787 Y-4617302; X-527785 Y-4617277).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ასფალტის საწარმოში გათვალისწინებულია შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარები: ცივი კვების სისტემა (4 ერთეული ინერტული მასალის მიმღები ბუნკერი, თითოეული 240 ტ) და ლენტური ტრანსპორტიორები; საშრობი დოლი და შემრევი; ბიტუმის საცავი (10 ერთეული ავზი, თითოეული 40 ტ); ფილერის საცავი; ინერტული მასალის საწყობი; ასფალტის საცავი; მტვრის შეგროვების სისტემა და ფილტრაციის უბანი; დისტანციური მართვის ოთახი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 264 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და წლის განმავლობაში დაამზადებს 380 160 ტონა ასფალტის ნარევს (180 ტ/სთ), რისთვისაც ნედლეულის სახით, გამოიყენებს 127 960 ტ/წელ ქვიშას, 170 200 ტ/წელ ღორღს, 26 000 ტ/წელ ბიტუმს, 22 600 ტ/წელ მინერალურ ფხვნილს და ქვის მტვერს, 33 400 ტ/წელ ფილერს. ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი დაიწყება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებულ სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში გადამუშავებული ინერტული მასალის ასფალტის საწარმოს ცივი კვების სისტემაში მიწოდებით. აღნიშნულის შემდგომ, ინერტული მასალა გასაშრობად და გასაცხელებლად გადავა საშრობ დოლში, რომელიც აღჭურვილი იქნება მტვრის შეგროვების სისტემით (60% ეფექტურობის ციკლონის ფილტრი, აირმტვერნარევის დაჭერის სისტემა და 99,9% ეფექტურობის სახელოებიანი ფილტრი). საშრობი დოლის სახელოებიან ფილტრში დაგროვილი მტვერი დაბრუნდება ასფალტის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში, როგორც ერთ-ერთი შემავსებელი. საშრობი დოლიდან ინერტული მასალა გადაინაცვლებს შემრევში, სადაც დაემატება ფილერი და 150°C-მდე გაცხელებული ბიტუმი. ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის მართვა განხორციელდება დისტანციური მართვის ოთახიდან. წარმოებული ასფალტის ნარევი გამოყენებული იქნება სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ მშენებარე გზის მოწყობის სამუშაოებში. ასფალტის საწარმოში დასაქმდება 7 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ასფალტის საწარმო წარმოადგენს მარტივი კონსტრუქციის მქონე მობილურ დანადგარს, არ საჭიროებს საძირკვლების მოწყობას და მისი განთავსება დაკავშირებული არ იქნება მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან. საწარმოს მოწყობის სამუშაოები შესრულდება ამწის და სატვირთოს გამოყენებით და გაგრძელდება ერთი კვირის განმავლობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის, ხოლო დამატებით დასაქმებული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, მცირედით გაიზრდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის ხარჯი, რომელიც აღებული იქნება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებული 10 მ³ მოცულობის მობილური ავზიდან. ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, საწარმოო ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყალი დაკავშირებული იქნება არსებულ გამწმენდ ნაგებობასთან. გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყალი გროვდება არსებულ 64 მ³ მოცულობის მქონე შემკრებ რეზერვუარში, რომლის განტვირთვაც ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ასფალტის საწარმოს ტერიტორია დაიფარება ბეტონის საფარით და მის მიმდებარედ მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, რომელიც დაერთდება არსებულ ნავთობდამჭერთან. ნავთობდამჭერში გაწმენდილი წყალი გამოიყენება ტექნიკური მიზნებისთვის, ხოლო დაგროვილი შლამი გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების გამოყოფას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის ანგარიშის შედეგების თანახმად, სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების ეტაპზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაცია, 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომელიც განხორციელდა სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ხმაურის წარმოქმნის სტაციონარული წყაროების (ბეტონის ქარხანა, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, ასფალტის საწარმო) ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში. მიღებული შედეგების მიხედვით, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 29,72 დბა-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მსგავსი პროფილის ობიექტ(ები) არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, მახასიათებლებისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით,

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 2 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის შემუშავება და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება კვარტალში ერთხელ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები 500 მეტრიანი ნორმირებული ზონის საზღვარზე, შერჩეული მონიტორინგის მეთოდის/ხელსაწყო, სტანდარტის და მონიტორინგის ადგილმდებარეობის UTM – X,Y კოორდინატების მითითებით;
5. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 2 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში, გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

